საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
ბრძანება N 01-11/33

ქ. ბათუმი 21 მარტი, 2018 წ

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბიბლიოთეკის დირექტორის, ლელა თურმანიძის 2018 წლის 15 მარტის MES 2 18 00289429 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არაუმეტეს 2 თვის ვადით სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 და მე-4 სასწავლო წლის სტუდენტებს და ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.
3. კონკურსანტმა **2018 წლის 22 მარტიდან 30 მარტის ჩათვლით** ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:
   ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (სტაჟირების გავლის წესით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) CV;
   დ) ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ სასწავლო ბარათის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად;
   ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);
   ვ) ცნობა სოციალური დახმარების მიღების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
   ზ) სამოტივაციო წერილი.
4. სტაჟიორთა შერჩევისას გაითვალისწინება: ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნა; საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; კარგი

კალიგრაფია; სტუდენტის აკადემიურ მოსწრება და მოტივაცია. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ სოციალური დახმარების მიმღები ოჯახის წევრებს.

5. კონკურსის წესით შეირჩეს 4 სტაჟიორი (ორ-ორი სტაჟიორი, დილისა და საღამოს ცვლებში სამუშაოდ). შერჩეულმა კანდიდატებმა 2 თვის განმავლობაში გაიარონ სპეციალური პროგრამა საბიბლიოთეკო საქმის ცალკეული საკითხებში, სტაჟირების პერიოდში სამუშაო საათები განესაზღვროთ შემდეგი განრიგით:
   ა) პირველი ცვლაში: ორშაბათი-პარასკევი $9^{00}$სთ -$14^{00}$სთ, კვირა $9^{00}$ სთ-$17^{00}$სთ;
   ბ) მეორე ცვლაში: ორშაბათი-პარასკევი $14^{00}$სთ -$19^{00}$სთ, შაბათი $9^{00}$სთ -$17^{00}$ სთ.
6. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების პერიოდში ბიბლიოთეკის პერსონალის კოორდინირებით შეასრულონ ბიბლიოთეკის დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ უცხოელი სტუდენტების კონსულტირება ინგლისურ ენაზე.
7. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს წარმატებული სტაჟიორები, რომლებიც შესაძლებელია დასაქმდეს არაუმეტეს 6 თვიანი კონტრაქტით და მათზე გაიცეს სერტიფიკატები.
8. სტაჟირების კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას სტაჟიორთა საკონკურსო კომისია, რომელმაც განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
9. კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით - 400 ლარი.
10. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
11. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
12. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ/შ გურამ გვარიშვილი